

მაია ჯალიაშვილი

Maia Jaliashvili

ოსკო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Tsu Shota Rustaveli Insute of Georgian Literature

ბესიკ ხარანაულის ლექსის „სიტყვების უქონლობის გამო“
ჰერმენევტიკული ანალიზი: ეგზისტენციალური მარტოობა
და შემოქმედებითი ტვირთი

**Hermeneutic Analysis of Besik Kharanauli's Poem
"Due to Lack of Words": Existential Loneliness and the Creative
Burden**

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.10026>

This article presents a hermeneutic analysis of "Due to Lack of Words“, a significant poem by the prominent contemporary Georgian poet, Besik Kharanauli. The study aims to delve into the profound thematic and figurative layers of the text, utilizing the hermeneutic methodology to fully grasp the author's intentions and the intrinsic value of the artistic work itself. Given that poetry often employs figurative language, a hermeneutic approach, as a theory of interpretation, is crucial for uncovering the poem's hidden, subtextual meanings and achieving a deep understanding of the author's vision.

Our analysis primarily draws upon Hans-Georg Gadamer's concept of the „hermeneutic circle“, a fundamental principle that emphasizes the interconnectedness of the part and the whole within a text. This method allows for a comprehensive, rather than superficial, examination of the poem's aesthetics, seeking appropriate explanations for the author's underlying meaning. Hermeneutics, as the art of interpretation, highlights the interplay between the text, the author, the reader, and the broader context, enabling us to comprehend the existential loneliness, creative burden, and the poet's alienation from the world as depicted in the poem.

The hermeneutic analysis of „Due to Lack of Words“ reveals it as a deeply layered artistic text, reflecting on existential loneliness, the creative

burden, and the tragic fate of the poet. By applying Gadamer's principles of the „hermeneutic circle,“ it becomes clear how individual elements of the poem – such as its title, the refrain „Don't call me, Mother“, the feeling of past burden, and the poet's „illness of foolishness“ – acquire profound significance within the overall context of the work.

The analysis demonstrates that the speaker's rejection of their mother is not impulsive, but rather an expression of a heavy internal state, provoked by the sense of life's futility (echoing Ecclesiastes' vanity) and the inherent tragedy of the artist's creative burden. Concurrently, „hermeneutic“ details within the poem, such as the difficulty of "lifting one's head," the mother's voice associating with pain, and the illusory nature of the past, point to the lyric hero's deep psychological and emotional exhaustion.

The poem's titular phrase, "Due to Lack of Words“, serves as a crucial guide, hinting at a rupture of identity, where "word" (logos) signifies divinity for the lyrical hero, and its "absence" suggests a Nietzschean "death of God“. Consequently, life loses its meaning and becomes empty, rendering the individual akin to a „dummy“, reminiscent of T.S. Eliot's „Hollow Men“. The repeated refrain, „Don't call me, Mother“, underscores the protagonist's profound isolation and pain, indicating a tragic alienation from both self and the world. This can be interpreted as a desire for enforced isolation or „internal emigration“, especially within the Soviet era context, but also as an individual spiritual crisis stemming from various subjective and objective circumstances across any epoch.

Furthermore, the poem delves into the poet's self-perception, portraying himself as „sick with foolishness“ – not madness, but an overwhelming expenditure of creative energy that was misdirected or found no complete outlet. The comparison of his song to a bird's, where it doesn't return, symbolizes the one-sided nature of the creative process. The lines about not rushing to shed weaknesses and not exchanging dreams for reality highlight the poet's pessimism and disillusionment, suggesting his dreams were too beautiful to be fulfilled in a harsh reality.

The poem also reflects on the poetic calling as a curse and a blessing, where the poet experiences an acute sensitivity to the world's minutiae, seeking to feel „every needle, every eyelash“. This resonates with Baudelaire's „Benediction“, where the mother curses the birth of her poet son. The poem tragically equates poetry not with happiness, but with destruction, consuming the poet's „heart and liver“. The ultimate burden lies in the poet's

inability to describe the world directly, symbolizing the creative anguish and uniqueness of finding a new language.

In conclusion, Besik Kharanauli's „Due to Lack of Words“ not only portrays the poet's individual crisis but also reveals universal truths about the human psyche, the weight of creation, and the complexities of dialogue with the world. Gadamer's concept of the „fusion of horizons“ supports the idea that despite the different experiences of the poet and the reader, the text creates a new space for understanding, where shared existential feelings are exchanged. Thus, „Due to Lack of Words“ remains a significant literary work that compels the reader towards profound reflection and interpretation.

საკვანძო სიტყვები: ბესიკ ხარანაული, ჰერმენევტიკა, პოეზია

Keywords: Besik Kharanauli, hermeneutics, poetry

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ხმა, ბესიკ ხარანაული, თავისი მრავალშრიანი თემატიკითა და სახისმეტყველებით მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მისი ლექსი „სიტყვების უქონლობის გამო“ ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სიტყვების მეშვეობით ეგზისტენციალური განცდების სიღრმისეულად გადმოცემა. წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ, ჰერმენევტიკული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამ ლექსის ანალიზს, რათა სრულად გავიგოთ ავტორისეული მიზანდასახულება და გამოვავლინოთ მხატვრული ტექსტის თავისთავადი ღირებულება.

ეგზისტენციალური მარტოობა და შემოქმედებითი ტვირთი – ჰერმენევტიკული დეტალები და მნიშვნელობები

როგორც ცნობილია, პოეზიაში ავტორი სიტყვებს არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ უპირატესად გადატანითი მნიშვნელობით იყენებს, ამიტომ საჭიროა ამ ლექსის ესთეტიკის ყოვლისმომცველი ანალიზი, რათა ავტორისეულ საზრისს შესაბამისი ახსნა-განმარტება მივცეთ. ჰერმენევტიკა ხომ, როგორც ინტერპრეტაციის თეორია, განსაკუთრე-

ბით წარმოაჩენს ტექსტის, ავტორის, მკითხველისა და კონტექსტის ურთიერთკავშირს.

ამ თვალსაზრისით, ძირითადად დავეყრდნობით ჰანს-გეორგ გადამერის მეთოდოლოგიას, კერძოდ, „ჰერმენევტიკული წრის“ კონცეფციას, რომელიც ჰერმენევტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. იგი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ტექსტი უნდა გავიგოთ ნაწილის მთელთან და მთელის ნაწილებთან მიმართებით. „ჰერმენევტიკული მიზანდასახულობა თავისთავად სვამს კითხვას (ტექსტის) საგანთა არსის შესახებ და ეს მიზანდასახულობა მუდმივად ამ კითხვის მიერაა დეტერმინებული. ასე კი ჰერმენევტიკული ქმედება მყარ საფუძველს მოიპოვებს“, – აღნიშნავს ჰანს გეორგ გადამერი თავის ნაშრომში „გაგების წრის შესახებ“ (გადამერი, 2015, გვ. 115). შესაბამისად, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების გასაგებად ინტერპრეტატორი მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებს არ უნდა დაეყრდნოს, არამედ თავად ტექსტს „მოუსმინოს“ და ამით მცდარი გაგება თავიდან აიცილოს. „ვისაც ტექსტის გაგება სურს, ის უმეტესად მზადაა, თავად ტექსტს ათქმევინოს რაიმე. ამიტომ, ჰერმენევტიკულად გაწვრთნილი გონება/ცნობიერება ტექსტის სხვაგვარობის მისაღებად იმთავითვე მზად უნდა იყოს“ (გადამერი, 2015, გვ.116). მისივე აზრით, ასეთი მზადყოფნა, ცხადია, განმმართველისაგან არც საქმიან „ნეიტრალიტეტს“ და არც თვითგანეიტრალებას არ ითხოვს, არამედ გულისხმობს, საკუთარ წინასწარ შემუშავებულ წინარე შეფასებებისა და წინარე თვალსაზრისებისგან დისტანცირდეს. ამიტომ წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისი უნდა ვაკონტროლოთ, რათა ამით ტექსტი „თავის სხვაგვარობაში დაფუძნდეს. ამგვარად კი შეიქმნება შესაძლებლობა იმისა, რომ ტექსტის საგანთა არსი/ჰერმენეუტიკა გამოვლინდეს“ (გადამერი, 2015, გვ. 116). ინტერპრეტაცია არ არის მხოლოდ ობიექტური ჰერმენეუტიკების ძიება, არამედ ერთგვარი ცოცხალი დიალოგი ტექსტსა და ინტერპრეტატორს შორის.

ბესიკ ხარანაულის ეს ლექსი მრავალშრიანი მხატვრული ტექსტია, რომლის მთავარი თემა ეგზისტენციალური მარტოობაა. ეს თემა მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის პოეტებისთვის, მაგალითად, როგორც რომანტიკოსებისთვის, ასევე მოდერნისტებისთვის. ამ თვალსაზრისით, ლექსი განსაკუთრებულ ნათესაობას ამჟღავნებს შარლ ბოდლერისა და რაინერ მარია რილკეს შემოქმედებასთან. გადამერი აღნიშნავს: „ჰერმენევტიკული წრე ნაწილისა და მთელის შესახებ შლაიერმახერმა როგორც ობიექტური, ისე სუბი-

ექტური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავა. როგორც ცალკეული სიტყვა ეკუთვნის ტექსტის მთლიანობას, ასევე ცალკეული ტექსტი მიეკუთვნება შესაბამის ლიტერატურულ ჟანრს, ან მწერლის შემოქმედების მთლიანობას, ხოლო მწერლის შემოქმედება – შესაბამის ლიტერატურულ მიმდინარეობას. მეორე მხრივ, იგივე ტექსტი, როგორც შემოქმედებითი აქტის მანიფესტაცია, მიეკუთვნება ავტორის სულიერი/შინაგანი ცხოვრების ერთობლიობას. შლაიერმახერის მიხედვით, სწორედ ამგვარი ობიექტური და სუბიექტური ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი სრულყოფილი გაგება (გადამერი, 2015, გვ. 115).

ამ ლექსის ცალკეული სტროფები და სიტყვები (ნაწილები) სიღრმისეულ მნიშვნელობებს იძენენ მთელი ლექსის კონტექსტში, ხოლო მთელი ლექსი ავტორის შემოქმედების ერთგვარი გასაღებივით გვევლინება და წარმოდგენას გვიქმნის როგორც ლიტერატურულ ტრადიციაზე, ასევე უფრო ფართო კულტურულ კონტექსტზეც. ნაშრომში „გაგების წრის შესახებ“ გადამერი აღნიშნავს: „მთელი, რომელშიც გარკვეული საზრისია ნაგულისხმევი, მაშინ ხდება გასაგები, როდესაც ნაწილები, რომლებიც მთელიდან გამომდინარე განისაზღვრებიან, თავის მხრივ ამ მთელს განსაზღვრავენ. ასე წარიმართება გაგების პროცესი მთელიდან ნაწილისაკენ და უკან მთელისაკენ“ (გადამერი, 2012, გვ. 115).

ამ ლექსის სათაური, როგორც დეტალი, უმნიშვნელოვანესი გზამკვლევაა მთლიანი ტექსტის აღსაქმელად. „სიტყვების უქონლობის გამო“ გულისხმობს იდენტობის რღვევას, რადგან ლირიკული გმირისთვის სიტყვა ლოგოსია, ღმერთია, მისი „უქონლობა“ ნიცშეანურ „ღმერთის სიკვდილზე“ მიანიშნებს. შესაბამისად, სიცოცხლე საზრისს კარგავს, ცარიელდება. ადამიანიც ფიტულს ემსგავსება. ამ თვალსაზრისით, ეხმიანება თომას ელიოტის „ფუტურო ადამიანებს“.

ლექსის ერთ-ერთი მთავარი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნაწილია რეფრენი „ნუ დამირეკავ, დედი“/„დედი, ნუ დამირეკავ“, რომელიც სასოწარკვეთილ ძახილადაც შეიძლება გავიაზროთ და დუმილის კატეგორიულ მოთხოვნადაც. „რეფრენის განმეორებადობა რითმის განმეორებადობის ანალოგიურ როლს ასრულებს (ლოტმანი, 2012, გვ.125). ეს გამეორებული სტრიქონი – თავიდანვე ქმნის ინტონაციურსა თუ შინაარსობრივ დაძაბულობას, გამოკვეთს ლირიკული გმირის მარტოსულობასა და ტკივილს. ერთი შეხედვით, ეს არის თხოვნა, რომ არავინ დაარღვიოს ლირიკული გმირის მიერ შექმნილი ნაჭუჭი, თავდასაცავი ჩარჩო, თავშესაფარი, თვით ძვირფასმა დედამაც კი. ეს

საკუთარი თავისა თუ სამყაროს მიმართ ტრაგიკულ გაუცხოებაზე მიანიშნებს. საბჭოთა ეპოქაში დაწერილ ამ ლექსში, რა თქმა უნდა, შეიძლება იძულებითი იზოლაციის, ან „შინაგან, ემიგრაციისკენ“ სწრაფვაც ამოვიკითხოთ და, რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროსა და ეპოქაში გამოვლენილ სხვადასხვა სუბიექტურ-ობიექტურ გარემოებათა მიერ გამოწვეული ინდივიდუალური სულიერი კრიზისიც.

ლექსის დასაწყისშივე გამოკვეთილი ჰერმენევტიკული დეტალები („თავის აწევის“, „ტელეფონთან მისვლის“ და „შენი ხმის გაგონების“ სირთულე), მეტყველებენ ლირიკული გმირის არა მხოლოდ ფიზიკურ უუნარობაზე, არამედ ღრმა ფსიქოლოგიურსა და ემოციურ დაღლილობაზე. დედის ხმა, რომელიც, წესით, ტკბილი, თბილი, სანატრელი და ნუგეშის მომგვრელი უნდა იყოს, ამ შემთხვევაში, ლირიკული გმირის ტკივილს აძლიერებს, რადგან ის წარსულთან, იმედგაცრუებასთან, ფუჭ მოლოდინებსა და აუხდენელ ოცნებებთან აკავშირებს. ეს ეხმიანება გალაკტიონის სტრიქონებს: „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“ (ტაბიძე, 1993, გვ. 15). ლექსის ლირიკული გმირი მისტირის იმ დროს, როდესაც „ისეთი ოცნება“ ჰქონდა, „ასრულება და ახდენა რომ არ სჭირდებოდა“. ეს არის ბავშვობის მაგიური დრო, როდესაც წარმოსახულსა და რეალურ სამყაროებს შორის თითქმის არ არის ზღვარი.

ლექსის „ჰერმენევტიკული“ წრის მნიშვნელოვანი დეტალია წარსულის სიმბიმის განცდა. მისთვის, როგორც ჰამლეტისთვის, „დრო დარღვეულია“.

„რას გვიშველის ჩვენ ეს საუბრები,
ძველი ფურცლები...
შეგონებები, დაწერილი ლამაზი ხელით,
წარსულის მითი
და ოდესღაც ნათქვამი ფიცი...“.
(ხარანაული, 2007, გვ. 107).

ეს სტროფი მიანიშნებს წარსულის ილუზორულობაზე, ერთგვარ ტვირთზე. დედის საუბარი, შეგონებები, „ძველი ფურცლები“ – ეს ყველაფერი ფუჭ იმედებსა და გაცრუებულ მოლოდინებს უკავშირდება, რომლებიც, სამწუხაროდ, არ გამართლდა. „წარსულის მითი“ მიანიშნებს იდეალიზებულ წარსულზე, რომელიც უპირისპირდება აწმყოს, სასტიკ რეალობას.

ლექსის ჰერმენევტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დედაზე, როგორც მანუგეშებელზე, უარის თქმა იმპულსური და გაუცნობიერებული კი არ არის, არამედ შვილის შინაგანი მძიმე მდგომარეობის გამოხატველი. ამ სიმძიმის, ეგზისტენციალური კრიზისის, მაპროვოცირებელი კი ორი მთავარი რამ არის: ცხოვრება („ეკლესიასტესური“ ამაოების განცდით) და ხელოვანის შემოქმედებითი ტვირთი (ტრაგიზმის მთავარი წყარო). ეს თემა გამოკვეთს ლექსის კავშირს ქართული და მსოფლიო პოეზიის ცნობილ ნიმუშებთან (მაგალითად, გურამიშვილის „წუთისოფლის სამდურავი“, შარლ ბოდლერის „პოეტი“ და სხვ.).

პოეტის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზია „ავადმყოფობა სისულელით“. აქ გვახსენდება ნიკო სამადაშვილის სტრიქონები: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი“ (სამადაშვილი, 2006, გვ.129). რილკეც ლექსში „პოეტი“ ასე გამოხატავს გულისწუხილს: „ყველაფერს, რასაც თავს ვუძღვნი და ჩემით ვამდიდრებ,/ უჩნდება დიდი სურვილი, რომ გამასაჩუქროს“ (რილკე, 2023, გვ. 56). ხარანაულის ლექსის ლირიკულ გმირსაც ტანჯავს ის გაუგებრობა, რომელიც მას და საზოგადოებას შორის ჩატეხილი ხიდივით გაჩენილა. ლალი ავალიანი სწორად შენიშნავს: „ბესიკ ხარანაულის პოეზიის ზოგი ასპექტი (სამყაროული და პიროვნული დისჰარმონიულობა და „ფრაგმენტულობა“, გაუცხოება, ეგოცენტრიზმი და ნარცისიზმი, თამაში, ნილაბი, ირონია...) და მისი მხატვრული განსახოვნების გზები, ქრონოლოგიურად და არსებითადაც, მუდამ დაუბრკოლებლივ ეწერებოდა თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურულ სივრცეში“ (ავალიანი, 2007, გვ.5).

„განა ჩიტს უკან უბრუნდება
თვისი სიმღერა?!
მე ავადა ვარ, სისულელით, ჩემი ზნისაგან,
რადგან, ყოველთვის, როგორც ოქრო, მეზოგებოდა
ჩემი თავი – ჩემივ თავისთვის...“
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

პოეტი საკუთარ თავს „ავად“ მიიჩნევს „სისულელით“. ეს არ არის სიგიჟე, არამედ საკუთარი თავის უზომოდ დახარჯვა, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვაება, რომელიც არასწორად იყო მიმართული ან ვერ პოვა სრულფასოვანი გამოსავალი. ის ადარებს საკუთარ სიმღერას (შემოქმედებას) ჩიტისას, რომლისთვისაც ჭიკჭიკი ისეთივე ბუნებრი-

ვი და აუცილებელია, როგორც ჰაერი და სიცოცხლე. სიმღერა უკან რომ არ უბრუნდება, მიანიშნებს შემოქმედებითი პროცესის ცალმხრივობაზე.

ლექსის მნიშვნელოვანი დეტალია უარის თქმა განვითარებაზე და ოცნებების დაკარგვა:

„მე არა ვჩქარობ
დავეთხოვო ჩემს სისუსტეებს,
რადგან სანაცვლოდ
არავინ მომცემს უკეთესს, ვიცი,
და სიზმარსაც არა ვცვლი ცხადში...“
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

ეს სტროფი წარმოაჩენს პოეტის პესიმიზმსა და იმედგაცრუებას. ის არ ელის უკეთესს, ამიტომ არც ცდილობს არსებული ვითარების შეცვლას. „სიზმარსაც არა ვცვლი ცხადში“ – ქვეტექსტურად იგულისხმება, რომ მისი ოცნებები (შესაძლოა პოეზიის საშუალებით სამყაროს შეცვლის ოცნება) იმდენად ლამაზი იყო, რომ მათ რეალობაში ახდენა არ სჭირდებოდათ, რადგან რეალობა მათ ფერსა და ხმას შეუცვლიდა, დაუკარგავდა.

ლირიკული გმირის სულიერი კრიზისის მთლიანობაში აღსაქმელად მნიშვნელოვანია სიცოცხლის განცდა, როგორც სასჯელისა და პოეტის გაუცხოებისა:

„მე მომესაჯა სიცოცხლე და მეც მშვიდად ვიხდი...
ცხოვრება ჩემი საქმე არ არის“.
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

სიცოცხლე, როგორც სასჯელი, ეხმიანება ჟან-პოლ სარტრის თავისუფლების, როგორც სასჯელის აღქმასაც. ეს სიტყვები გამოკვეთს პოეტის დამორებას ცხოვრებისგან, მისთვის სიცოცხლე ბედნიერება კი არა, არამედ სასჯელია, რომელსაც ის „მშვიდად იხდის“. ეს პოეტის ეგზისტენციალურ მარტოობასა და ცხოვრებისეული რუტინისგან მოწყვეტაზეც მიანიშნებს. რილკე ერთ ლექსში („პოეტის სიკვდილი“) წერს, რომ ადამიანები არ იცნობენ პოეტს:

„წყლები, მდელოები და უფსკრულები –
ეს ყველაფერი იყო მისი ნამდვილი სახე“.
(რილკე, 2023, გვ. 55)

ლექსის უმნიშვნელოვანესი დეტალია დედის არჩევანი. ლირიკულმა გმირმა სწორედ დედის ოცნება აასრულა, როცა წერას მიჰყო ხელი და პოეტის მძიმე ხვედრს შეურიგდა, ეკლიან გზას გაჰყვა:

„ეს შენა გსურდა,
რომ პოეტი ვყოფილიყავი,
ეს შენ დამზადე მე პოეტად
და რომ იცოდე,
როგორი ძნელი რამ ყოფილა რომ იქცე იმად,
რისთვისაც გაჩნდი,
რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე!..“
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

ეს არის ლექსის საკვანძო სტრიქონები. პოეტი დედას ადანაშაულებს, რომ „პოეტად გააჩინა“. აქ ვლინდება პოეტის ბედის ტრაგიზმი – იყოს ის, რისთვისაც დაიბადა, არის უდიდესი ტვირთი და ტკივილი. ეს მიაწინებს პოეტური მოწოდების ბუნებაზე, მის დამანგრეველ ძალაზე. როგორც ლადო ასათიანი წერს: „*რადგანაც მერგო ვიყო პოეტი ჩემი ცხოვრების საბედისწეროდ*“ (ასათიანი, 2005, გვ.65).

გადამერის აზრით, საჭიროა „იმ მნიშვნელობას შევუსაბამოთ გავება, რა მნიშვნელობითაც ის ტექსტი ჩვენ გველაპარაკება (გადამერი, 2015, გვ.114). ეს ლექსი კი „გველაპარაკება“, ერთი შეხედვით, სადა, მაგრამ, თანვე მრავალმნიშვნელოვანი მხატვრული სახეებით. ლექსის ერთიან სტრუქტურაში „შესაღწევად“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლირიკული გმირის ფიქრი პოეზიის არსსა და დანიშნულებაზე:

„მე ხომ ლექსი კი არ მინდოდა –
რამე ისეთი,
რომელიც ყველას ნუგეშსა და შვებას მოჰგვრიდა,
შურს იძიებდა კაცი რითაც ამ ცხოვრებაზე,
რითაც დაკარგულს შეივსებდა და ცრემლს დაცლიდა...“
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

პოეტი აქ გამოხატავს თავის იდეალურ წარმოდგენას პოეზიის შესახებ. მას არ სურდა უბრალოდ ლექსების წერა, არამედ შეექმნა რაღაც ისეთი, რაც ხალხს ანუგეშებდა, „შურს იძიებდა ამ ცხოვრებაზე“ (ანუ, გაუმკლავდებოდა მის სირთულეებს) და დაეხმარებოდა „ცრემლების დაცლაში“ – განწმენდაში. ეს გვიჩვენებს როგორც მის ღრმა ჰუმ-

მანურ მისწრაფებას, ასევე რწმენას, რომ სიტყვებს დიდი ძალა აქვთ, მაგრამ, ამავე დროს, იმედგაცრუებას, რომ ამას ვერ მიაღწია.

ლირიკული გმირის ყოფას ტრაგიზმს მატებს ეჭვების შემოტევა და „შიშველი ნერვები“. „ჩემი საქმე კი ეჭვთან არის დაწყვილებული...“ თუკი სარეცხი ფხვნილის რეკლამას „ეჭვი არ ახლავს“, პოეტის შემოქმედებას – კი. ეს მიაწინებს ხელოვნების სირთულეზე, მის მუდმივ ძიებასა და იმ ეჭვებზე, რომლებიც შემოქმედებით პროცესს თან სდევს.

„იმას ვცოტაობ, რომ ნერვები გამშიშვლებია,
და იმას ვნატრობ, რომ საერთოდ არ მეონდეს კანი,
რომ უფრო მძაფრად ვიგრძნო ქვეყნის ყველა წვრილმანი,
ყველა ნემსი, ყველა წამწამი...“.

(ხარანაული, 2007, გვ. 107)

პოეტი მიისწრაფვის უკიდურესი მგრძნობელობისკენ, რათა სრულად შეიგრძნოს სამყარო. ეს არის მისი შემოქმედებითი „წყევლა“ და, ამავე დროს, „დალოცვა“. აქ ინტერტექსტუალური გადამახილი შეიძლება დავინახოთ შარლ ბოდლერის ლექს „კურთხევისათან“, რომელშიც დედა წყევლის იმ წუთებს, როდესაც პოეტი შვილი გაუჩნდა.

„პოეტურ სამყაროს გააჩნია არა მარტო სიტყვების საკუთარი ნუსხა, არამედ – სინონიმებისა და ანტონიმების საკუთარი სისტემაც. ასე, მაგალითად, „სიყვარული“ გარკვეულ ტექსტებში გვევლინება, როგორც სიცოცხლის სინონიმი, სხვებში კი „სიკვდილს“ უთანაბრდება. „დღე“ და „ღამე“, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ პოეტურ ტექსტში შეიძლება სინონიმურ მნიშვნელობებს გამოხატავდეს და, პირიქით, ერთი და იგივე სიტყვა პოეზიაში შეიძლება, არ უდრიდეს საკუთარ თავს ან საკუთარი თავის ანტონიმიდან კი მოგვევლინოს“ (ლოტმანი, 2012, გვ. 112). ამ ლექსშიც ბესიკ ხარანაული წარმოაჩენს ენის „საკუთარ სისტემას“, რომელშიც სიტყვები განსაკუთრებულ მნიშვნელობებს იძენენ. მაგალითად, პოეზია ბედნიერებასთან კი არა, უბედურებასთან ასოცირდება; ლექსი „კლავს“, იმის ნაცვლად, რომ ძალა შემატოს:

„განა პოეტი არ შეჭამეს თვისმა ლექსებმა?
რა მკვლელი უნდა იმას, მითხარ, რა მოშურნალი,
როს ლუკმა-ლუკმა მიაქვთ ლექსებს
მისი გულ-ღვიძლი...“.

(ხარანაული, 2007, გვ. 110)

აქ პოეზია წარმოჩენილია, როგორც რაღაც დამანგრეველი, რაც პოეტს „შეჰამს“, მის „გულ-ღვიძლს“ წაიღებს. ხელოვნება „გულის სისხლს მოითხოვს საფასად“, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა. იგი ერთგვარი „სასტიკი ბომონია“. პოეტი საკუთარ თავს სწირავს, რათა ტანჯვა ესთეტიკურ ღირებულებად აქციოს.

ლექსის მთლიანობაში აღსაქმელად უმნიშვნელოვანესია სტრიქონი: „მწვანეზე არა ვთქვა – მწვანე“. ეს არის პოეტის ყველაზე დიდი ტვირთი და განმასხვავებელი ნიშანი. მას არ შეუძლია სამყარო აღწეროს პირდაპირ, ჩვეულებრივი ენით. მან უნდა იპოვოს ახალი ხედვა, ახალი ენა, ძველ სიტყვებს შესძინოს ახალი ელფერი, რაც „მწვანეზე არ თქმას – მწვანედ“ გულისხმობს. ეს არის შემოქმედებითი ტანჯვისა და გამორჩეულობის სიმბოლო.

„შენს დედურ სიბრძნეს დაჰკარგვია ერთი ფურცელი
და ვერ მპასუხობ, თუ ვინ მიმცა ოთხივ სტიქიას
და ლექსის წერა დამაკისრა მკაცრი პირობით:
რომ მწვანეზე არა ვთქვა – „მწვანე“...
(ხარანაული, 2007, გვ. 110)

ლექსის ცალკეული დეტალები, როგორც მოზაიკის ნაწილები, ერთ განუყოფელ ფერადოვანსა და მნიშვნელობებით დატვირთულ მთლიანობას ქმნიან, რაც ავტორის, როგორც პოეტის, ნიჭსა და გამოცდილებაზე მიუთითებს.

მკითხველის როლი და „ჰორიზონტების შერწყმა“

ლექსის კითხვისას ნებისმიერი მკითხველი თავის ინდივიდუალურსა და უნიკალურ ურთიერთობას ამყარებს მხატვრულ ტექსტთან, შესაბამისად, ცდილობს მის ინტერპრეტაციას. „გაგება ყოველთვის ინტერპრეტაციაა არის, და ამდენად ინტერპრეტაცია გაგების ექსპლიციტური (განმარტებითი) ფორმა“ (გადამერი, 2015, გვ.109). „ჰერმენევტიკის ამოცანაა ტექსტის აზრი იმ კონკრეტულ სიტუაციას მოარგოს, რომელ სიტუაციაშიც ეს ტექსტი მეტყველებს. ღვთაებრივი ნების განმმარტებელი, რომელსაც ორაკულის ნათქვამის ინტერპრეტაცია ძალუძს, ამის თავდაპირველი მოდელია. ასევე დღემდე ყოველი თარჯიმნის მოვალეობა ის კი არ არის, უბრალოდ გადათარგმნოს, რაც მოლაპარაკების მონაწილემ წარმოთქვა, არამედ მან მისი აზრი ისე უნდა წარმოადგინოს, როგორც საჭიროდ მიაჩნია მოლაპარაკების ჭეშმა-

რიტი სიტუაციიდან გამომდინარე, ანუ იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რომელსაც მხოლოდ ის იცნობს, ვითარცა მოლაპარაკების ორივე ენის მცოდნე (გადამერი, 2015, გვ.110). ვფიქრობთ, ეს ლექსი „მეტყველებს“ წარმავალსა და უნივერსალურ, მარადიულ კონტექსტებში. ამგვარად, თანამედროვე ადამიანის უმწვავეს სულიერ პრობლემებს ღრმად და ხატოვნად წარმოაჩენს. „ხელოვნების ქმნილება ჩართულია აღმქმელი სუბიექტის ცნობიერებაში“ (ლოტმანი, 2012, გვ.116).

ლექსის მთლიანობაში აღსაქმელად მნიშვნელოვანი დეტალია ლირიკული გმირის განცდა, რომ „დაიკარგა“, ე.ი. საზრისი გამოეცალა, მაგრამ ის დედასთან ერთადაა. ეს „დედა“ აქ უკვე აღიქმება, როგორც ერთგვარი „ღვთაებრივი სამყარო“.

„მე დავიკარგე
მთელი ქვეყნის ყველა სახლისთვის...
მე შენთანა ვარ, შენთან ვიყავ, შენთან ვიქნები...“
(ხარანაული, 2007, გვ. 107)

ლექსის ბოლოს პოეტი აღწერს საკუთარ დაკარგულობას, თითქოს ის აღარ ეკუთვნის ამქვეყნიურს, „უპატრონოდ ქარში დარჩენილ პერანგს“ ადარებს თავს. თუმცა, მიუხედავად ამ ეგზისტენციალური დაკარგულობისა, ის დედას ეუბნება: „შენთანა ვარ, შენთან ვიყავ, შენთან ვიქნები“. ეს პარადოქსი ჰერმენევტიკულად შეიძლება განიმარტოს, როგორც სულის უკვდავება, დედაშვილური კავშირის მარადიულობა, ან პოეტის მემკვიდრეობის უკვდავება. ის ფიზიკურად შესაძლოა „დაკარგული“ იყოს, მაგრამ მისი სული, მისი პოეზია, დედის მეხსიერებასა და მკითხველის გონებაში რჩება. ბესიკ ხარანაულისთვის ნიშანდობლივია ეს თემა. მის ერთ სხვა ლექსში ვკითხულობთ:

„მე ვის ვუყვარდი? – არა, არავის!
მე ვინ მიყვარდა?
– არა, არავინ!

აი, ეს არის ჩემთვის ყველაზე
სევდის მომგვრელი და შემზარავი“.
(ხარანაული, 2007, გვ. 103)

გადამერის ჰერმენევტიკული მეთოდოლოგიის კიდეც ერთი მნიშვნელოვანი კონცეპტია „ჰორიზონტების შერწყმა“ – ამ კონცეფციის

მიხედვით, მკითხველისა და ტექსტის „ჰორიზონტები“ ერწყმის ერთმანეთს, რაც გაგების ახალ სივრცეს ქმნის. გადამერის აზრით, ვისაც ჰორიზონტი არ გააჩნია, ის არის ადამიანი, რომელიც შორს ვერ იყურება და ამის გამო გადაჭარბებულად აფასებს იმას, რაც მის სიახლოვესაა და, პირიქით, ჰორიზონტის შეგრძნება ნიშნავს: უახლოესით კი არ შემოიფარგლო, არამედ მის მიღმა გაიხედო: „ვისაც ჰორიზონტი აქვს, ხელეწიფება ამ ჰორიზონტის ფარგლებში ყველა საგნის მნიშვნელობა სწორად შეაფასოს მისი სიახლოვისა და სიშორის, სიდიდისა და სიმცირის მიხედვით. შესაბამისად, ჰერმენევტიკული სიტუაციის შემუშავება ნიშნავს მართებული შეკითხვითი ჰორიზონტის მოპოვებას იმ კითხვებისთვის, რომლებიც ჩვენ წინაშე წამოიჭრება“ (გადამერი, 2015 წ, გვ.103). „ჰორიზონტი ისეთი რამ არის, რომლისკენაც მივემართებით და ისიც ჩვენთან ერთად მიიწევს წინ. ვინც მოძრაობს, მისი ჰორიზონტებიც ადგილს იცვლიან“ (გადამერი, 2015 წ, გვ.105).

ამ ლექსის შემთხვევაში, მკითხველისა და ლირიკული გმირის (პოეტის ალტერ ეგოს) ჰორიზონტები იოლად ერწყმის ერთმანეთს, რაც მისი გაგების განცდას ქმნის. თუმცა, ეს არ ნიშნავს ლექსის საზღვრის ამოწურვას, რადგან ჰორიზონტები „ადგილს იცვლიან“. „ჰორიზონტების შერწყმა“ კი მკითხველისგან ძალისხმევას მოითხოვს. ვფიქრობთ, ნებისმიერი გაწაფული და გემოვნებიანი მკითხველი იგრძნობს ამ ლექსში წარმოჩენილ ლირიკული გმირის სულიერი კრიზისის, მარტოობისა თუ გაუცხოების ტკივილს. „სინამდვილეში აწმყოს ჰორიზონტი მუდმივი ფორმირების პროცესშია, რაკილა ჩვენ იძულებული ვართ ყველა ჩვენი წინასწარ შემუშავებული შეხედულება გამუდმებით შევამოწმოთ. არცთუ უკანასკნელი ადგილი ამგვარი შემოწმების საგანთა შორის უჭირავს წარსულთან შეხვედრასაც და იმ გადმოცემის გაგებას, საიდანაც ჩვენ მოვდივართ. ამგვარად, აწმყოს ჰორიზონტის ფორმირება სულაც ვერ მოხდება წარსულის გარეშე. ისევე არ არსებობს აწმყოს ჰორიზონტი თავისთავად, როგორც წარსულის ჰორიზონტები, რომელთა მოპოვებაც შეიძლება გვჭირდებოდეს. პირიქით, გაგება ყოველთვის არის ამგვარი, თითქოსდა თავ-თავისთვის არსებული ჰორიზონტების ურთიერთშერწყმის პროცესი“ (გადამერი, 2015, გვ.107). როგორც აღვნიშნეთ, მკითხველისა და პოეტის აღქმის ჰორიზონტები თავისუფლად ერწყმის ერთმანეთს და მათ შორის ცოცხალი დიალოგი იმართება.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბესიკ ხარანაული ვერლიბრის დიდოსტატია. ამ ლექსის სათქმელისთვისაც ეს თავისუფალი ფორმა აირ-

ჩია და ამ გზითაც გამოხატა ხელოვანის ტანჯვა და სულიერი თავისუფლების წყურვილი.

ჰერმენევტიკული წრე ლექსის, როგორც პოეტის შემოქმედების ნაწილის, აღქმასაც გულისხმობს. ნიშანდობლივია, რომ დედის კონცეპტი ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაში გამოკვეთილია. მის პოეზიაში დედა წარმოჩნდება, როგორც იდენტობის ერთგვარი საყრდენიც კი. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია მისი ლექსები: „ჩემო დედი“, „კარტოფილის ამოღება“, „დედა ყველას გვაკლია, დედა!“, „დედა“ და სხვ.). ერთ ლექსში („უთხარი, დედი, ამ მთებსა და ამ მთა-გორებს“) ვკითხულობთ:

„უთხარი, დედი, ამ მინდვრებსა და ამ მთა-გორებს
ამ სოფლებსა და ამ ქალაქებს
ამ ქალებსა და ამ ვაჟკაცებს,
რომ დაგიბრუნონ შენი შვილი“.
(ხარანაული, 2007, გვ. 29)

ეს სტრიქონები თავისი პათოსით ეხმიანება პაოლო იაშვილის ლექსს „წერილი დედას“.

ან კიდევ: „გაბედე, დედა, ჩემი დაბადება,
გამოგვაჩინე...
და თუ ცხოვრებას ვერ შევიძლებთ,
ნიღბებს მაინც მოვირგებთ რასმეს“.
(ხარანაული, 2007, გვ. 33)

ზუსტად შენიშნავს ნაირა გელაშვილი, რომ დედასთან ჰარმონიული „ერთადყოფნა“ იმდენადვე შეუძლებელია, რამდენადაც შინაგანად „მისგან წასვლა“: „იგივე ითქმის დედის, როგორც მარადიული პირველსაწყისის ორ სხვა გამოვლინებაზეც: ღვთისმშობელსა და დედამიწაზე. პოეტი ყველასთვის „დაკარგულია“; ის არც მიწის პატრონი და მომვლელია, არც ღვთისმშობლისკენ გზის გამკაფავი. მაგრამ დედა, მიწა და ღვთისმშობელი პოეტის შინაგანი ქვეყნიერების დედაბოძები არიან: იქ არსებობენ როგორც დიადი შეუძლებელნი; ასეთი სახით ეკუთვნიან ამ სამყაროს და განსაზღვრავენ მის „ტანჯულობას“. ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ყოფნის არც თანდაყოლილი კავშირის გაწყვეტას, ამ შემთხვევაში: დედისგან შინაგან გაქცევას, მის დავიწყებას, და არც თანდაყოლილ მოკავშირესთან (დედა, მიწა, პოეზია) ნამდვილი კავშირის, თანაყოფიერების განხორციელებას. ეს ყოველივე

გროვდება იმ სათქმელად (დედისადმი), რომელიც, არსებითად, უთქმელისა და გამოუთქმელის საუფლოს განეკუთვნება. ამას გვამცნობს თუნდაც ლექსი "სიტყვების უქონლობის გამო", ერთიანად დედისადმი მიმართვად რომ წარმოგვიდგება“ (<http://www.litclub.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=7577>).

„პოეტები არა მხოლოდ მშვენიერების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების მატარებელნი არიან. ჭეშმარიტება უკაფავს მათ გზას გამოუცნობ სფეროებში შესაღწევად. ამიტომ განცვიფრება და მოულოდნელობა თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი ქმედითი ძალაა“ (აპოლინერი, 2010, გვ. 28). ბესიკ ხარანაულის ამ ლექსის „ეგზისტენციალური სივრცე“ მკითხველს თანაბრად აზიარებს ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას.

დასკვნა

ბესიკ ხარანაულის ლექსის „სიტყვების უქონლობის გამო“ ჰერმენევტიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ეს მრავალშრიანი მხატვრული ტექსტი ეგზისტენციალური მარტოობის, შემოქმედებითი ტვირთისა და პოეტის ტრაგიკული ხვედრის ღრმა რეფლექსიას წარმოადგენს. ჰანს-გეორგ გადამერის „ჰერმენევტიკული წრის“ პრინციპებზე დაყრდნობით ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ იძენს ლექსის ცალკეული დეტალები – სათაური, რეფრენი „ნუ დამირეკავ, დედი“, წარსულის სიმძიმის განცდა და პოეტის „ავადმყოფობა სისულელით“ – სიღრმისეულ მნიშვნელობებს მთელი ტექსტის კონტექსტში.

ანალიზმა აჩვენა, რომ ლექსში გამოკვეთილი დედის „დარეკვაზე“ უარის თქმა არ არის იმპულსური ქმედება, არამედ ლირიკული გმირის მძიმე შინაგანი მდგომარეობის გამოხატულებაა, რაც ცხოვრების ამაოებისა და ხელოვანის ტრაგიზმის განცდით არის პროვოცირებული. ამავე დროს, ლექსის ჰერმენევტიკული დეტალები, როგორებიცაა „თავის აწევის“ სირთულე, დედის ხმის ტკივილთან ასოცირება და წარსულის ილუზორულობა, მიანიშნებს ლირიკული გმირის ღრმა ფსიქოლოგიურ და ემოციურ დაღლილობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბესიკ ხარანაულის ლექსი „სიტყვების უქონლობის გამო“ არა მხოლოდ პოეტის ინდივიდუალურ კრიზისს ასახავს, არამედ უნივერსალურ ჭეშმარიტებებს წარმოაჩენს ადამიანის სულიერი სამყაროს, შემოქმედების ტვირთისა და სამყაროსთან დიალოგის სირთულეს.

ლექების შესახებ. გადამერის „ჰორიზონტების შერწყმის“ კონცეფცია ამყარებს მოსაზრებას, რომ, მიუხედავად პოეტისა და მკითხველის განსხვავებული გამოცდილებისა, ტექსტი ქმნის გაგების ახალ სივრცეს, სადაც ხდება საერთო ეგზისტენციალური განცდების გაზიარება.

ამრიგად, „სიტყვების უქონლობის გამო“ რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშნად, რომელიც მკითხველს უბიძგებს სიღრმისეული რეფლექსიისა და ინტერპრეტაციისკენ, ხოლო მისმა ჰერმენევტიკულმა ანალიზმა გამოავლინა ლექსის, როგორც პოეტური ხელოვნების შედეგის, მრავალგანზომილებიანი ბუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ავალიანი, ლ. (2007). „დაიწერა, რომ არ დასრულდეს“, წიგნში: „ბესიკ ხარანაული, 100 ლექსი“, თბილისი: „ინტელექტი“.
- ასათიანი, ლ. (2005). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“.
- აპოლინერი, გ. (2010). ახალი ცნობიერება და პოეტები, წიგნში „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“, II, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ბოდღერი, შ. (1992). ბოროტების ყვავილები, თბილისი: „იანუსი“.
- გადამერი, ჰ. (2015). გაგების წრის შესახებ, წიგნში: „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“, III, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- გადამერი, ჰ. (2015). ზემოქმედების ისტორია და გამოყენება, წიგნში: „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“, III, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- გელაშვილი, ნ. თანამედროვედ ყოფნის ნიშნები.
<http://www.litclub.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=7577>
- ლოტმანი, ი. (2012). პოეტური ტექსტის ანალიზი. ჟურნ. „სჯანი“, 13, 111-135.
- რილკე, რ. (2023). სადამო არის ჩემი წიგნი. (ლექსები), თბილისი: „პალიტრა L“.
- სამადაშვილი, ნ. (2006). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“.
- ტაბიძე, გ. (1993), არტისტული ყვავილები, თბილისი: „რუბიკონი“.
- ხარანაული, ბ. (2007). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“.

References:

- Avaliani, I. (2007). „Daits’era, rom ar dasruldes“. [“It was written so that it would not end”]. ts’ignshi 100 leqsi. Tbilisi: „intelekti“.
- Apolin, G. (2010). Axali cnobiereba da poet’ebi. [New Consciousness and Poets]. ts’ignshi lit’erat’uris Teoriis krest’omatia. II, Tbilisi: lit’erat’uris inst’it’ut’is gamomts’emloba.
- Asatiani, L. (2005). 100 leksi. [100 Poems]. Tbilisi: „intelekti“.
- Baudelaire, Sh. (1992). Borot’ebis q’vavilebi. [Flowers of Evil]. Tbilisi: „Ianus“.
- Gadamer, H. (2015). Gagebis ts’ris Shesakheb. [On the Circle of Understanding]. ts’ignshi „Literaturis Teoriis krest’omatia“. III. Tbilisi: lit’erat’uris inst’it’ut’is gamomts’emloba.
- Gadamer, H. (2015). Zemokmedebis ist’oria da gamoq’eneba. [History of Impact and Use]. ts’ignshi „lit’erat’uris Teoriis krest’omatia“. III, Tbilisi: lit’erat’uris inst’it’ut’is gamomts’emloba.
- Gelashvili, N. Tanamedroved q’ofnis nishnebi. [Signs of Being Modern]. <http://www.litclub.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=7577>
- Kharanauli, B. (2007). 100 leksi. [100 Poems]. Tbilisi: „intelekti“.
- Lotmann, I. (2012). Poet’uri t’ekst’is analizi. [Analysis of a Poetic Text]. „Sjani“, 13, 111-135.
- Rilke, R. (2023). “Saghamo aris chemi ts’igni” (leksebi). [“Evening is my Book”]. Tbilisi: „Palitra L“.
- Tabidze, G. (1993). Art’ist’uli q’vavilebi. [Artistic Flowers]. Tbilisi: „Rubikoni“